ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (ძელქვიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის), კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარის, კობა ფხაკაძის

ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან – 2026 წლის ოქტომბრის ჩათვლით

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, მაჟორიტარი დეპუტატისა და კომისიის თავმჯდომარის საქმიანობა მიმართული იყო ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვისკენ, ქალაქში კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული მიმართულებების განვითარებისა და ძელქვიანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების ეტაპობრივი და სისტემური მოგვარებისკენ.

თავი I. მაჟორიტარული საქმიანობა ძელქვიანის საარჩევნო ოლქში

საანგარიშო პერიოდში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა ძელქვიანის საარჩევნო ოლქის მოსახლეობასთან მუდმივ, პირდაპირ კომუნიკაციას და მათი საჭიროებების წინ წამოწევას. სამუშაო რეჟიმში რეგულარულად და შეუფერხებლად მიმდინარეობდა მოქალაქეთა მიღება როგორც ძელქვიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ისე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში. მოსახლეობის მომართვიანობის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამის სამსახურებთან აქტიური შუამდგომლობით, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს გაეწია მატერიალური, სამედიცინო და სხვა სახის სოციალური დახმარება, რაც მოიცავდა მედიკამენტების შეძენისა და გადაუდებელი ოპერაციების/სამედიცინო კვლევების თანადაფინანსებას, ერთჯერად ფულად მატერიალურ დახმარებებს, ვაუჩერებით უზრუნველყოფასა და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სხვადასხვა მუნიციპალურ სოციალურ პროგრამაში ჩართვას.

საანგარიშო პერიოდში ძელქვიანის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა და ამჟამად მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული და სოციალური სამუშაოები:

• **გამწვანებისა და სკვერის კეთილმოწყობის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები განხორციელდა:** კ. გამსახურდიას ქუჩის №12 მიმდებარე ტერიტორიაზე.

• **მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია და მიმდინარეობს:** ლ. ასათიანის ქუჩის №50, ი. ჭავჭავაძის გამზირის №25 და კ.გამსახურდიას ქუჩის №2 საცხოვრებელ სახლებში.

• **სპორტული მოედნების სრული რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაში გაშვება განხორციელდა შემდეგ მისამართებზე:** კ.მესხიშვილის ქუჩის №63-65 მიმდებარე

ტერიტორიაზე, ს.მესხის ქუჩის IV შესახვევსა და ზ. ჭავჭავაძის ქუჩის №6 მიმდებარე ტერიტორიაზე.

• **მოქალაქეთა ჩართულობისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებს შემდეგ მისამართებზე:** კ. გამსახურდიას ქუჩა №2 (I, II, III და IV სადარბაზოები), ლ. ასათიანის ქუჩა №147ა (III სადარბაზო), ი. ჭავჭავაძის გამზ. №26 (II სადარბაზო), ლ. ასათიანის ქუჩა №50 (III სადარბაზო) და ზ.ჭავჭავაძის ქუჩა №6 (III და IV სადარბაზოები).

• **ავარიული სახურავების რეაბილიტაცია სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დასრულდა შემდეგ მისამართებზე:** ე.ნინოშვილის ქუჩა ჩიხი №11, №12 (ძველი მისამართით: ე.ნინოშვილის მე-7 ჩიხი, №10 ნაკვეთი 2).

• **მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სრულად დასრულდა წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია შემდეგ მისამართებზე:** დავით აღმაშენებლის გამზ. №43, დავით აღმაშენებლის გამზ. №27 და ი. ჭავჭავაძის გამზ. №27.

• **დასრულდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული შიდა საკანალიზაციო ქსელების სრული განახლება** ი. ჭავჭავაძის გამზირის №27 საცხოვრებელ სახლში.

• **ამორტიზებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი** სრულად დასრულდა შემდეგ მისამართებზე: ი. ჭავჭავაძის გამზ. №22 (1-ლი სადარბაზო, 8-სართულიანი), ი. ჭავჭავაძის გამზ. №2 (1-ლი სადარბაზო, 9-სართულიანი) და გიორგი ბრწყინვალეს ქ. №2 (1-ლი სადარბაზო, 10-სართულიანი). ამჟამად სამუშაოები მიმდინარეობს ი.ჭავჭავაძის გამზ. №22 (მე-2 სადარბაზო, 8-სართულიანი) ლიფტის დასამონტაჟებლად.

• **მრავალბინიანი სახლების შიდა სადარბაზოების რეაბილიტაციის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს** ზ. ჭავჭავაძის ქუჩის №28-ის 1-ელ და მე-2 სადარბაზოებში.

• **ბინათმესაკუთრეთა ხელშეწყობის მიზნით, დასრულდა სახურავების კაპიტალური შეკეთება და გადახურვითი სამუშაოები შემდეგ მისამართებზე:** დავით აღმაშენებლის გამზ. №24, ლ. ასათიანის მე-5 ჩიხი №1, ლ. ასათიანის ქ. №119/2, ლ. ასათიანის ქ. №119/1 (მე-2 სადარბაზო), ი. ჭავჭავაძის გამზ. №34, ა. ჩეხოვის ქ. №23 (1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 სადარბაზოები), ლ. ასათიანის ქ. №94 და ი. ჭავჭავაძის გამზ. №22.

ასევე წარმოგიდგენთ ძელქვიანის ადმინისტრაციულ ერთეულში 2026 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების ნუსხას, რომლებზეც ამჟამად მომზადებულია ან მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის (ტენდერის) პროცედურები:

• **საგზაო ინფრასტრუქტურა შემდეგ მისამართებზე**: ქანთარიას ქუჩა, ნარსიას ქუჩა, ნინოშვილის IX ჩიხი, ჯანელიძის ქუჩა, პ.ინგოროყვას ქუჩა, ო. ფხაკაძის ქუჩა, ნ. ფიროსმანის ქუჩა.

• **საავტომობილო გზის რეაბილიტაციისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობა** ლ.ასათიანის ქუჩა VI ჩიხში.

• **სკვერის მოწყობა შემდეგ მისამართებზე:** ლადო ასათიანის IV ჩიხი №17, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №129 მიმდებარედ.

• **სკვერის მოწყობა (ტერიტორიის კეთილმოწყობა და ღობის რეაბილიტაცია)** ლადო ასათიანის ქ. №94 მიმდებარედ.

• **ბეტონის კუნძულების მოწყობა** აკაკი ხორავას და სერგეი მესხის ქუჩების კვეთაზე.

• **ორი მინი სტადიონის რეაბილიტაცია შემდეგ მისამართებზე**: ილია ჭავჭავაძის გამზირი №7ვ მიმდებარედ და ილია ჭავჭავაძის გამზირი №9ვ მიმდებარედ.

• **ფასადის რეაბილიტაცია შემდეგ მისამართებზე:** ილია ჭავჭავაძის გამზ. №1ა, ილია ჭავჭავაძის გამზ. №1ა, ილია ჭავჭავაძის გამზ. №1ბ, ილია ჭავჭავაძის გამზ. №12-14-16, ილია ჭავჭავაძის გამზ. №18, ილია ჭავჭავაძის გამზ. №20, ილია ჭავჭავაძის გამზ. №24, ილია ჭავჭავაძის გამზ. №26, ილია ჭავჭავაძის გამზ. №28, ლადო ასათიანის ქ. №147ბ.

თავი II. კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის მუშაობა

როგორც კომისიის თავმჯდომარემ, საანგარიშო პერიოდში სრულად უზრუნველვყავი კომისიის შეუფერხებელი, გამჭვირვალე, კანონმდებლობის შესაბამისი და ეფექტიანი მუშაობა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“, საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების საფუძველზე. კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს, შეისწავლის, აანალიზებს და ამზადებს გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტულ სოციალურ-კულტურულ, საგანმანათლებლო და სპორტულ სფეროებში.

კომისია შედგება 10 (ათი) წევრისგან. საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 10 (ათი) სხდომა და განიხილა 16 (თექვსმეტი) მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც შეეხებოდა მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირებას, პროგრამულ პრიორიტეტებსა და სოციალურ-კულტურულ ინიციატივებს.

კომისიის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, 2026 წლის 30 იანვრის სხდომაზე დამტკიცდა კომისიის წლიური სამუშაო გეგმა. გეგმის შესაბამისად, სხდომებზე პერიოდულად განიხილებოდა მერიის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე სხვადასხვა მუნიციპალური ა(ა)იპ-ისა და შპს-ის ანგარიშები გაწეული საქმიანობისა და მიზნობრივი პროგრამების მიმდინარეობის შესახებ, კერძოდ:

• ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის — კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ;

• ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ;

• ა(ა)იპ „ბაგა-ბაღების გაერთიანების“ მიერ 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ;

• ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ;

• ა(ა)იპ „ფოლკლორის ცენტრის — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის“ მიერ 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების მიხედვით გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

• ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

• ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზის“ მიერ 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

• ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღი — მედეას“ მიერ 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

• ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის მიერ 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის აგვისტომდე გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

• ა(ა)იპ „ბაგა-ბაღების გაერთიანების“ მიერ 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

• შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის“ მიერ 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

• ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის ქალთა ჰოკეის კლუბ უქიმერიონის“ მიერ 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

• ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის — კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის განყოფილებების მიერ 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

• შპს „საკალათბურთო კლუბი ქუთაისი 2010“-ის მიერ 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ;

• ა(ა)იპ „ფრენბურთის კლუბ ქუთაისის აიეტის“ მიერ 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა, ინოვაციური ინიციატივების მხარდაჭერა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. კომისია მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს ზედამხედველობასა და კოორდინაციას კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროების განვითარების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალური პროგრამების კიდევ უფრო სრულყოფას.

თავი III. საქმიანობა საკრებულოს ორგანოებში, ფრაქციასა და სამუშაო ჯგუფებში

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვმონაწილეობდი მუნიციპალიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობაში. პირადად დავესწარი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 (ცამეტი) პლენარულ სხდომას, სადაც მონაწილეობა მივიღე დღის წესრიგით გათვალისწინებულ სტრატეგიული საკითხებისა და სამართლებრივი აქტის განხილვა-მიღებაში.

ჩემი, როგორც დეპუტატის, საქმიანობა მხოლოდ პროფილური კომისიის თავმჯდომარეობით არ შემოიფარგლება. ქალაქის მართვისა და ეკონომიკური განვითარების პროცესებში სრულფასოვანი ჩართულობის მიზნით, ვარ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი, რომლის ფარგლებშიც დავესწარი 18 (თვრამეტი)სხდომას და მონაწილეობა მივიღე 21 (ოცდაერთი) საკითხის განხილვაში. აგრეთვე, როგორც ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრმა, მონაწილეობა მივიღე 13 (ცამეტი) სხდომაში, სადაც განვიხილეთ 50 (ორმოცდაათი) მნიშვნელოვანი საკითხი. რეგულარულად ვმონაწილეობ ქალაქის ინფრასტრუქტურული და ქონებრივი პროექტების გადაწყვეტაში.

გარდა ამისა, ასევე ვარ გადაუდებელი რეაგირების სოციალური ქვეპროგრამის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი. ეს ჯგუფი სწავლობს იმ ოჯახების მდგომარეობას, რომლებიც მოულოდნელად მძიმე კრიზისში ან საგანგებო სიტუაციაში აღმოჩნდნენ. ჩემი როლია, პირადად ჩავერთო ამ შემთხვევების განხილვაში და ხელი შევუწყო მოქალაქეებისთვის საჭირო დახმარების სწრაფად გამოყოფას.

გაწეული საქმიანობის შეჯამებისას, მსურს მადლობა გადავუხადო ძელქვიანის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას გამოცხადებული ნდობისთვის, მუდმივი თანამშრომლობისა და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციისთვის. ასევე, მადლობას ვუხდი ქალაქ ქუთაისის მერიის სამსახურებს, საკრებულოს აპარატს და კოლეგებს კონსტრუქციული პარტნიორობისთვის. ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ მუშაობას ჩვენი ქალაქისა და საარჩევნო ოლქის საკეთილდღეოდ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი
(ძელქვიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი)
კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის
კომისიის თავმჯდომარე **კობა ფხაკაძე**